საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 24 01/06/2020

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში მდებარე სოლომონ მეფის ქუჩა N90ა-ში მდებარე 2718 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი № 36.01.31.399), ამავე მისამართზე მდებარე 1486 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი №36.01.31.398) და 100 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი № 36.01.31.396) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 108-ე მუხლის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმდინარე წლის 07 მაისისN5/23958 მომართვის თანახმად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა N90ა-ში მდებარე 2718 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი № 36.01.31.399), ამავე მისამართზე მდებარე 1486 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (საკადასტრო კოდი №36.01.31.398) და 100 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი № 36.01.31.396) გადაეცეს უსასყიდლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში, შემდგომში აღნიშნული უძრავი ქონების შპს. „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ კაპიტალში შეტანის მიზნით.

მუხლი 2. დაევალოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და ფორმით უზრუნველყოს აღნიშნული ქონების სახელმწიფო საკუთრებად რეგისტრაციისთვის შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების განხორციელება.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180 -ე მუხლით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხარაგაულის მაგისტრატ სასამართლოში (მისამართი დაბა ხარაგაული სოლომონ მეფის ქუჩა #48.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე